

შპს „ტაბა“

Taba LLC

საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. 37-^ა37-^d Chavchavadze
Ave. 0162 Tbilisi , Georgia

ტელ/ფაქსი: (995 32) 25 11 83

Tel/Fax: (995 32) 25 11 83

№ 3/13

30 მარტი 2020

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს
გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს.

ქალბატონო ნინო,

თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილის (#2073/01, 24/02/2020) საპასუხოდ, რომელიც შეეხებოდა შპს 'ტაბა'-ს მიერ ხაშურის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე 24 მეგავატ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლოატაციისთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად მომზადებულ გზმ-ს ანგარიშთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის დაზუსტების მოთხოვნას, წარმოგიდგენთ დამატებით ინფორმაციას აღნიშნულ საკითხებზე.

ინფორმაცია მოცემულია შემაჯამებელი ცხრილის და დანართების სახით (5 დანართი).

	შეკითხვა/კომენტარი:	პასუხი:
1	<p>წარმოდგენილი ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორიაზე 2019 წლის მარტში და ოქტომბერში განხორციელდა ორნითოლოგიური 'მარშრუტული მეთოდით' კვლევა, რომელიც ეფექტურია ტყის ფრინველების აღრიცხვისთვის. აღნიშნული კვლევების ჩატარება მარტსა და ოქტომბერში ვერ იქნება რეალური სურათის მაჩვენებელი. მითუმეტეს მიგრანტ მტაცებელ და ღამის ფრინველებზე. მტაცებელ ფრინველთა აღრიცხვა უნდა განხორციელდეს ტურბინების განთავსების მიმდებარე ტერიტორიაზე წინასწარ შერჩეული ადგილიდან (მთელი დღის განმავლობაში), რათა დადგინდეს კონკრეტული სახეობები, რომლებიც იყენებენ აღნიშნულ ტერიტორიას მიგრაციის დროს. რაც შეეხება ღამის ფრინველებს, მათი აღრიცხვა უნდა მოხდეს ღამით, წერტილოვან ტრანსექტებზე ფრინველთა ხმით აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით გვიან შემოდგომაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე გზშ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საკვლევი ტერიტორიის ორნითოფაუნის, მათ შორის განხორციელებული საკვლევი დღეების რაოდენობის, დროის და მეთოდოლოგიის შესახებ. ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ რა სიხშირით იყენებენ ტერიტორიას გადამფრენი ფრინველები.</p>	<p>ცხოველთა სამყაროზე, მათ შორის ფრინველებზე ზემოქმედების შეფასება ჩატარდა კამერალურ და საველე მონაცემების მოპოვება-ანალიზზე დაყრდნობით. გამოყენებული იყო საპროექტო რეგიონისთვის არსებული ლიტერატურული წყაროები, აღნიშნულ ზონაში ადრე ჩატარებული დაკვირვებების (მათ შორის გამას მიერ 2009-2011 წლებში ჩატარებული კვლევების) მონაცემები, ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული საიტის სურამი 2 ფორმაში მოცემული ინფორმაცია და სხვ.</p> <p>განსახილველი პროექტის მომზადების სხვადასხვა ეტაპზე ჩატარდა საველე გასვლები მონაცემების შესაგროვებლად. კერძოდ - 2014 წელს შემოდგომაზე, 2019 წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე. (საპროექტო ზონაში სახეობების ჩამონათვალი, 2014 და 2019 წლების საველე დაკვირვებისას დაფიქსირებული სახეობის მითითებით მოცემულია დანართში 1). თითოეული გასვლისას საველე დაკვირვება (მარშრუტული მეთოდი) ტარდებოდა მთელი დღის განმავლობაში დაკვირვებისთვის ხელსაყრელი ამინდის პირობებში. საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლო არსებული 124 სახეობიდან დაფიქსირდა 81. დაკვირვებისთვის შერჩეული პერიოდი გაზაფხული და შემოდგომა საკმარისად იქნა მიჩნეული საპროექტო ტერიტორიაზე მდგომარეობის შესაფასებლად. საველე კვლევების ხანგრძლივობამ ჯამში შეადგინა 10 დღე.</p> <p>პროექტის ზემოქმედების შეფასებისას გამოყენებულ იქნა კონსერვატიული მოდგომა, რაც გულისხმობს ე.წ 'ყველაზე უარეს' სცენარს, რაც საპროექტო ზონაში ყველა ჩამოთვლილი სახეობის მოხვედრის შესაძლებლობას გულისხმობს.</p> <p>შეფასება შესრულდა ჩამოთვლილი სახეობების ცხოვრების წირის, მათთვის ხელსაყრელი საბუდარი/სანადირო პირობების მხედველობაში მიღებით და საპროექტო დერეფანში მოქცეული ჰაბიტატების შესწავლის საფუძველზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორია არ წარმოადგენს კრიტიკულ ჰაბიტატს ფრინველთა ჩამოთვლილი სახეობებისთვის.</p>

		<p>საპროექტო ტერიტორია ტყიან ზონას მოიცავს. საკვლევ დერეფანში დაფიქსირებულის (სამი ჰაბიტატი, იხილეთ დანართი 3) ანალოგიური ჰაბიტატები პროექტის ზონაში არსებობს. ისეთი სახეობების ბუდობის ადგილები, რომლებიც ბუდისადმი 'მიჯაჭულობას' ავლენენ შესწავლილ დერეფანში არ ფიქსირდება.</p> <p>გზშ-ს ანგარიშში მოცემულია მოსამზადებელი, მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპებზე ორნითოფაუნაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის მოთხოვნები. გზშ-ს ეტაპზე საკომპენსაციო ღონისძიებების საჭიროება არ გამოვლენილა.</p>
2	<p>გზშ-ს ანგარიშში მოცემული ინფორმაციით 4 ანძა და მათი დამაკავშირებელი გზა მდებარეობს ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული საიტის სურამი 2-ის ტერიტორიაზე, ხოლო წაროდგენილი შეიპ ფაილის მიხედვით ყველა (ხუთივე) საპროექტო ანძა (ტურბინა) მდებარეობს ზურმუხტის ტერიტორიაზე, რაც საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას. იმ შემთხვევაში, თუ ხუთივე ტურბინა განთავსდება 'სურამი 2' საიტის ტერიტორიაზე, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება.</p>	<p>სკოპინგის ანგარიშის წარდგენის შემდეგ განსაზღვრული დერეფნის ფარგლებში დაზუსტდა ანძების ადგილმდებარეობა. ცვლილება მოხდა ენერგეტიკული 'გამოსავლის' თვალსაზრისიდან გამომდინარე.</p>
3	<p>გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, 'განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საკვლევ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გავრცელებულ ფრინველთა დაცულ სახეობებზე'. წარმოდგენილ ანგარიშში არ არის აღწერილი არც ერთი კონსერვაციული სტატუსის მქონე ფრინველი (მაგ. ბუკიოტი <i>Aerolius funereus</i>). დოკუმენტაცია ასევე არ მოიცავს ინფორმაციას საპროექტო ტერიტორიაზე მსგავსი სახეობების არსებობის შეფასების, მათ შორის მტაცებელი (ლემიჭამია) ფრინველების, რომლებიც საპროექტო ტერიტორიას იყენებენ მიგრაციის დროს და აქვთ კონსერვაციული სტატუსი (მაგ. ორბი (<i>Gyps fulvus</i>), სვავი (<i>Aegyptius monachus</i>), ბეჭობის არწივი (<i>Aquila heliaca</i>)), ასევე ყარყატისნაირთა, წეროსნაირთა და მეჭვავიასნაირთა წარმომადგენლების შესახებ, რომლების წარმომადგენლები შეჯახების</p>	<p>კომენტარის შესაბამისად მომზადდა დაცული სახეობების დახასიათება, აღიწერა მათი საპროექტო ზონაში მოხვედრის შესაძლებლობა, თითოეული სახეობისთვის ცალ-ცალკე დახასიათებულ იქნა პროექტის სხვადასხვა ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები და ზემოქმედების მნიშვნელოვნება. ასევე, ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების და შერბილების ღონისძიებები.</p> <p>დეტალური ინფორმაცია, მეთოდოლოგიის აღწერით, წარმოდგენილია დანართის სახით. იხილეთ დანართი 2.</p>

	მაღალი რისკის სახეობებს.	
4	<p>გზმ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია ტურბინების (T02 და T03) განთავსებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ 'ზურმუხტის ქსელით' დაცული წიფლნარის ჰაბიტატზე (G1.6), სადაც აღწერილი უნდა იყოს ფართობი, მოსაჭრელი მცენარეების რაოდენობა, საკომპენსაციო ღონისძიებები და სხვა.</p>	<p>საპროექტო ინფრასტრუქტურის შემადგენლობაში შედის, ქვესადგური, მისასვლელი გზის მონაკვეთები და ტურბინების განთავსების მოედნები. აღნიშნულის ინფრასტრუქტურის ნაწილი, კერძოდ ტურბინები, ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული საიტის - სურამი 2-ის ტერიტორიაზე ექცევა. ამავე ზონაში დაგეგმილია არსებული გზის მოწესრიგება და ტურბინებთან მისასვლელი გზის მონაკვეთების მოწყობა. როგორც ტერიტორიის შესწავლისას დადგინდა (იხილეთ გზმ-ს ანგარიში), საპროექტო დერეფნის მონაკვეთი წიფლნარის ჰაბიტატზე გადის.</p> <p>ტაქსაციის მონაცემების საფუძველზე მომზადდა დამატებითი ინფორმაცია საპროექტო დერეფანში, მათ შორის ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული საიტის - სურამი 2-ის ტერიტორიაზე საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად მცენარეულ საფარზე, ცხოველთა სამყაროზე და ჰაბიტატებზე ზემოქმედების და მისი შერბილების ღონისძიებების შესახებ.</p> <p>დეტალური ინფორმაცია მოსაჭრელი სახეობების, მოსაჭრელი ხეების რაოდენობის შესახებ, და შესაბამისი საილუსტრაციო მასალა მოცემულია დანართის სახით (იხილეთ დანართები 3 და 4).</p>
გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ასევე შეიცავს უზუსტობებს კერძოდ		
1	<p>საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება 100 სახეობის ფრინველი (ცხრილი #48, გვ 122-125), საიდანაც სავსე კვლევების დროს საპროექტო ტერიტორიაზე დაფიქსირდა 14 სახეობა'.</p>	<p>ანგარიშში წარმოდგენილი ცხრილი განახლდა. დაემატა 2019-2011 და 2014 წლის მონაცემები. სრული ჩამონათვალი მოცემულია დანართში 1. საპროექტო ზონაში ცნობილი 124 სახეობიდან დაფიქსირებულია 81. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 1.</p>
	<p>ამავე ანგარიშის ტექსტურ ნაწილში (გვ 126) აღნიშნულია, რომ 'დაფიქსირდა 15 სახეობის ფრინველი და მოცემულია შესაბამისი ფოტომასალა, თუმცა ფოტოებზე (3,4,5,6,11) აღნიშნულია არასწორი დასახელებები. ხოლო ფოტო #8 მოცემული სახეობა არ არის ცხრილ#48-ში აღწერილი, რაც საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას.</p>	<p>ტექსტში დაშვებული უზუსტობის მიზეზი გადამოწმდა. ფოტოების სახელწოდებების შეცდომა დაკავშირებულია ტექსტის დაფორმატებასთან. საწყის მასალაში სახელწოდებები სურათის ზემოთ იყო მოთავსებული. ანგარიშში ჩასმის შემდეგ, ანგარიშში გამოყენებული ფორმატირებასთან შესაბამისობის მიზნით, სათაურები ქვემოთ იყო ჩამოტანილი. ამ პროცესში დაშვებული შეცდომის გამო რამდენიმე სათაურები შესაბამის სურათებს 'აცდა'. ფოტოს #1 სათაური სწორია და შესწორებას არ საჭიროებს. (იხილეთ</p>

		დანართი 5) გამოტოვებული სახეობა (სურათი 8) შეტანილია ცხრილში. შესწორებული ცხრილი მოცემულია დანართში 1.
2	ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია, ლიტერატურული წყაროების ან/და კრიტერიუმების შესახებ, რომლის მიხედვითაც იქნა დარჩენილი 86 (ან 85) სახეობის ფრინველის მოძიება/შერჩევა.	1 ფრინველებზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, მათ შორის სახეობების იდენტიფიკაციისთვის გამოყენებული ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალი მოცემულია დანართში 5.

პატივისცემით,



ნოდარ კურტანიძე
შპს 'ტაბა'-ს დირექტორი